


W O S C A P

ENHANCING EU PEACEBUILDING CAPABILITIES



გავაძლიეროთ კონფლიქტის პრევენცია:
რეკომენდაციები ევროკავშირისათვის –
მრგვალი მაგიდა საქართველოში

თბილისი
2017 წლის მაისი

გავაძლიეროთ კონფლიქტის პრევენცია: რეკომენდაციები ევროკავშირისათვის – მრგვალი მაგიდა საქართველოში

პოლიტიკის ფორმირების რეკომენდაციათა დოკუმენტი შემუშავებულია ნინა ციხისთავი-ხუციშვილის, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) მიერ.

განსაკუთრებული მადლობა ქ-ნ ნანა მაჭარაშვილს, თსუ-ს პროფესორსა და დოქტორ ტარიელ სიხარულიძეს, ESSEC-IRENE-ს წარმომადგენელს, დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილის გამო.

*პოლიტიკის ფორმირების რეკომენდაციების დოკუმენტი შეიმუშავა
კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრმა (ICCN)*



*საქართველოს შესახებ სიტუაციური ანალიზის ანგარიში მოამზადა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (TSU)*



კონფლიქტის ადრეული გამოვლენა და მშვიდობის მშენებლობა საზოგადოების თანამონაწილეობით (WOSCAP)

პოლიტიკის ფორმირების რეკომენდაციათა დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს შესახებ სიტუაციური ანალიზის ანგარიშის საფუძველზე ნინა ციხისთავი-ხუციშვილის, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორის მიერ. დოკუმენტის მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქ-მა ნანა მაჭარაშვილმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბ-მა ტარიელ სიხარულიძემ, ESSEC-IRENE-ს წარმომადგენლებმა. პოლიტიკის ფორმირების რეკომენდაციათა დოკუმენტის მიზანია კონფლიქტის თავიდან აცილებისა და სამშვიდობო პროცესებისთვის არსებული შესაძლებლობების, პოლიტიკისა და ინიციატივების შემუშავება და ინკლუზიური პოლიტიკის დიალოგითა და მონაწილეობითი გზით რეგულირება ყველა დონეზე. საქართველოს შესახებ სიტუაციური ანალიზის ანგარიში - „ევროკავშირის ღონისძიებები საქართველოში კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობისთვის“ მომზადდა, როგორც პროექტის - „კონფლიქტის ადრეული გამოვლენა და მშვიდობის მშენებლობა საზოგადოების თანამონაწილეობით“ (WOSCAP), ნაწილი ნანა მაჭარაშვილის, ეკატერინე ბასილიას და ნიკოლოზ სამხარაძის (ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მიერ.



ეს პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის Horizon 2020- ის მიერ კვლევისა და ინოვაციების პროგრამა საგრანტო ხელშეკრულება N 653866.

ეს დოკუმენტი ასახავს მხოლოდ ავტორის (ავტორთა) შეხედულებებს და ევროკავშირი არ არის პასუხისმგებელი ინფორმაციის გამოყენებაზე.

ქარაგმები (აბრევიატურა)

GPPAC	გლობალური პარტნიორობა შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციისთვის
GID	ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები
COBERM	ნდობის აღდგენის და ადრეული რეაგირების მექანიზმი
CSOs	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
EaP	აღმოსავლეთის პარტნიორობა
ENI	ევროპის სამეზობლო ინსტუმენტი
ENP	ევროპის სამეზობლო პოლიტიკა
ENPI	ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტუმენტი
EU	ევროკავშირი
EUMM	ევროკავშირის მონიტორინგის მისია
ICCN	კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
IDP	იძულებით გადაადგილებული პირი
IPRM	ინციდენტების პრევენციის და რეაგირების მექანიზმი
MTD	მრავალარხიანი დიპლომატია
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OSCE	ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
TSU	ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
UNDP	გაერო-ს განვითარების პროგრამა
UNOMIG	გაერო-ს სადამკვირვებლო მისია საქართველოში
UN SC RES	გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია
WOSCAP	კონფლიქტის ადრეული გამოვლენა და მშვიდობის მშენებლობა საზოგადოების თანამონაწილეობით

კონფლიქტის ადრეული გამოვლენა და მშვიდობის მშენებლობა საზოგადოების თანამონაწილეობით (WOSCAP) პროექტის ის შესახებ

კონფლიქტის ადრეული გამოვლენა და მშვიდობის მშენებლობა საზოგადოების თანამონაწილეობით პროექტი (WOSCAP) მიზნად ისახავს ევროკავშირის შესაძლებლობების გაძლიერებას კონფლიქტის პრევენციისა და სამშვიდობო პროცესების განხორციელებისათვის მდგრადი, ყოვლისმომცველი და ინოვაციური სამოქალაქო ჩართულობის საშუალებებით. იგი აფასებს მიმდინარე შესაძლებლობებს და ხარვეზებს, საუკეთესო პრაქტიკებს, მიღწეულ შედეგებს და კვლევის პრიორიტეტებს.

დაინტერესებული მხარეების გაერთიანებათა და დიალოგის ფორუმების მეშვეობით, ის ასევე აერთიანებს პოლიტიკოსებს, სამოქალაქო და სამხედრო საკითხთა სპეციალისტებს, პრაქტიკოსებს, აკადემიურ ექსპერტებსა და ევროკავშირის ინტერვენციების ბენეფიციარებს. კვლევის შედეგად შეიქმება სპეციალური რეკომენდაციები პოლიტიკის პრიორიტეტებისა და სამოქალაქო კონფლიქტების ეფექტიანი პრევენციისათვის საჭირო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ.

საერთაშორისო მშვიდობის მშენებლობის ინტერვენციები ორი მთავარი გამოწვევის წინაშე დგას: პირველია სფეროში კოორდინაციისა და სინერგიასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობა ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე მშვიდობის მშენებლობაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეთა მზარდი სპექტრის გამო. მეორე რიგში, საჭიროა, რომ ინტერვენციები გათვლილი იყოს და მასში მონაწილეობდეს ადგილობრივი მოსახლეობა გრძელვადიან პერსპექტივაში მათი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. ასეთი გამოწვევები ნიშანდობლივია საერთაშორისო სამშვიდობო ინტერვენციებისთვის. თავიანთი პოლიტიკისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესებისკენ სწრაფვაში, სწორედ ამ გამოწვევების წინაშეა ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა ევროკავშირი. პროექტი აქცენტს აკეთებს პრაქტიკულ მიდგომებსა და მექანიზმებზე, რომლებიც საშუალებას მისცემს ევროკავშირს, ინტერვენციები უფრო თანმიმდევრული და მდგრადი გახადოს. ეს მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებს შორის ჩართულობისა და თანამშრომლობის საშუალებებს; ინოვაციური მექანიზმებისა და მეთოდების გამოყენებას ასეთი ჩართულობის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად; სტრატეგიებს, რომლებიც ეფუძნება ადგილობრივ შესაძლებლობებსა და კონფლიქტების პრევენციის პრიორიტეტებს, მოქმედებებს და ამ მცდელობაში ევროკავშირისა და მისი პარტნიორების შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობას.

პოლიტიკის ფორმირების რეკომენდაციების დოკუმენტის შესახებ

პოლიტიკის ფორმირების რეკომენდაციების დოკუმენტი მომზადდა კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ (ICCN) საქართველოს შესახებ არსებული სიტუაციური ანალიზის ანგარიშზე „ევროკავშირის ღონისძიებები საქართველოში კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობისმშენებლობისთვის“ დაყრდნობით და წარმოადგენს პროექტის - „კონფლიქტის ადრეული გამოვლენა და მშვიდობის მშენებლობა საზოგადოების თანამონაწილეობით“ (WOSCAP) ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების ერთ-ერთ ძირითად შედეგს. დოკუმენტი მოიცავს საქართველოს შესახებ სიტუაციური ანალიზის ანგარიშის კვლევის დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მომზადებული საქართველოს შესახებ სიტუაციური ანალიზის ანგარიში „ევროკავშირის ღონისძიებები საქართველოში კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობისმშენებლობისთვის“ შემუშავდა პროექტის „კონფლიქტის ადრეული გამოვლენა და მშვიდობის მშენებლობა საზოგადოების თანამონაწილეობით“ (WOSCAP) ფარგლებში. კვლევის დასკვნებში განხილულია ევროკავშირის ინტერვენციები კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობის საქმეში საქართველოში. ანგარიში მოიცავს 2008 წლიდან დღემდე პერიოდს და აქცენტი გაკეთებულია სამ ინიციატივაზე: ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM), ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები (GID) და ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმი (COBERM). აღნიშნული ინიციატივები შეირჩა იმ მიზეზით, რომ ისინი დაკავშირებულია ევროკავშირის იმ ღონისძიებებთან, რომლებიც განხილულია პროექტში. ესენია: მრავალარხიანი დიპლომატია, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და მმართველობის რეფორმა. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა ევროკავშირის შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და რეკომენდაციების შესაძლო სფეროებზე.

სიტუაციურ ანალიზში შეფასებული ევროკავშირის შესაძლებლობები: ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM), ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები (GID) და ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის (EU-UNDP) ნდობის აღდგენა და ადრეული რეაგირების მექანიზმი (COBERM), ადასტურებენ როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური კოორდინაციისა და შესაბამისი მექანიზმების უფრო ეფექტიანი და ქმედითი გამოყენების მნიშვნელობასა და საჭიროებას.

პოლიტიკის ფორმირების რეკომენდაციების დოკუმენტის შემდეგ ნაწილში განხილულია ევროკავშირის შესაძლებლობების სამშვიდობო ფუნქციები

მშვიდობის მშენებლობის პროცესში საქართველოს საზოგადოების თანამონაწილეობის საერთო კონტექსტის ანალიზით. მასში წარმოდგენილია მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებული სამი პრიორიტეტული სფერო, რომელიც იდენტიფიცირებულ იქნა საქართველოს შესახებ სიტუაციური ანალიზის პროცესში და განიხილავს ამ სფეროებთან დაკავშირებულ კონკრეტულ რეკომენდაციებს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისთვის, საქართველოს მთავრობისა და ევროკავშირისთვის, ქვეყანაში მოღვაწე საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებთან და დონორებთან ერთობლიობაში. ოთხ პრიორიტეტულ სფეროსთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოყვანილია ქვემოთ ცალკე ნაწილში.

პოლიტიკის ფორმირების რეკომენდაციის დოკუმენტის ღირებულება უკავშირდება მედიაციისა და დიალოგის სფეროს მზარდი კომპლექსურობის, მხარდაჭერისა და უკეთ განჭვრეტის საჭიროებასთან დაკავშირებულ არგუმენტს. ეს სფერო, როგორც ასეთი, ხასიათდება, როგორც სამშვიდობო პროცესში ჩართული მრავალმხრივი სუბიექტების ჰორიზონტალური, ასევე, არასამთავრობო სუბიექტების ვერტიკალური განვრცობით. აღნიშნული არასამთავრობო სუბიექტები, ხშირად, დამატებით როლს ასრულებენ ფორმალურ დიპლომატიაში და, ზოგჯერ, თავად ასრულებენ შუამავლის ფუნქციებს.

ვიმედოვნებთ, რომ ეს დოკუმენტი, პროგრამის პარტნიორებთან დისკუსიებისა და თანამშრომლობის შედეგად, გამოსადეგი აღმოჩნდება მისი ადრესატებისთვის. ამ პროექტის დასრულების შემდეგ დაგეგმილია რეკომენდაციების გავრცელება როგორც საქართველოში, ისე ევროკავშირში.

პრიორიტეტული სფერო: პოლიტიკის ფორმირების რეკომენდაციათა დოკუმენტი და საქართველოს შესახებ სიტუაციური ანალიზის შემაჯამებელი შედეგები

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს. პირველი ეტაპი იწყება 1990-იანი წლების დასაწყისში. მეორე ეტაპი იწყება 2003 წლის “ვარდების რევოლუციით” და ხასიათდება ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებით. 2008 წლის ომის შემდეგ ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები სწრაფი ტემპით გადავიდა მესამე ეტაპზე, რომლის დროსაც მშვიდობის მშენებლობის ასპექტებმა მნიშვნელოვანი როლი შეიძინა. გაწევრიანებამდე დახმარების ინსტრუმენტის (IPA), ასოცირების შესახებ შეთანხმებების, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP), ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტისა (ENI) და აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ფარგლებში მმართველობის რეფორმების მნიშვნელოვან მხარდაჭერასთან ერთად, ევროკავშირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2008 წლის შემდგომ კონფლიქტის პრევენციის, მართვისა და გადაწყვეტის მიმართულებით ხელშეწყობაში ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის განვითარების კუთხით. კერძოდ, 2009 წელს, გაერო-ს სადამკვირვებლო მისიისა (UNOMIG) და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) საქართველოში წარმომადგენლობის დახურვის შემდეგ, ევროკავშირის სტრატეგიული მნიშვნელობა უფრო გაიზარდა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) საქართველოში მოქმედი ერთადერთი უფლებამოსილი საერთაშორისო სამშვიდობო სადამკვირვებლო მისია გახდა. გარდა ამისა, საქართველოში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ევროკავშირის მიერ გაწეული დახმარება ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კონფლიქტის უარყოფითი ზემოქმედების შესამსუბუქებლად. ამ დახმარებით ევროკავშირი მხარეთა შორის ნდობის აღდგენას უწყობს ხელს. ევროკავშირს დღესაც დიდი წვლილი მიუძღვის და მისი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია.

პოლიტიკის ფორმირების რეკომენდაციების დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია კონფლიქტების მოგვარებისა და სამშვიდობო პროცესების კუთხით მიმდინარე სამ ძირითად საქმიანობაზე საქართველოში. ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებებია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM), ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები (GID) და ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი ნდობის აღდგენის და ადრეული რეაგირების მექანიზმი (COBERM). ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყვნენ ერთადერთი

სუბიექტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ კონფლიქტის მოგვარებას და მშვიდობის მშენებლობას. თუმცა, კვლევაში მონაწილე ზოგიერთი ექსპერტი მაინც მიიჩნევს, რომ ევროკავშირმა ხელახლა უნდა ჩამოაყალიბოს თავისი უსაფრთხოების სტრატეგია, რათა საქართველო და მიმდებარე რეგიონი შევიდნენ ევროპის საზღვრებში.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში (EUMM)

ამჟამად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ყველაზე კონკრეტული ინსტრუმენტია საქართველოში, რომელიც გამოიყენება კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობისთვის. თავისი როლით ამ მისიაში, ევროკავშირი წარმოადგენს ერთგვარ შემაკავებელ ძალას, რომელიც უზრუნველყოფს საომარი მოქმედებების განუახლებლობას, იმ ადამიანების გატაცებისა და მათზე თავდასხმის პრევენციას, რომლებიც ცხოვრობენ და გადაადგილდებიან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აქტიურობას ავლენს მხოლოდ ისეთ სიტუაციებში, როდესაც არსებობს კრიზისი და აუცილებელი ხდება დაუყოვნებელი რეაგირება. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას აქვს საზღვრის მეორე მხარეს მოქმედების შეზღუდული უფლებები, სეპარატისტული რეგიონების შიგნით, მისი გავლენა კვლავ ძალიან მნიშვნელოვანია.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს შესახებ სიტუაციური ანალიზი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში ევროკავშირის სამოქალაქო შესაძლებლობებს შედარებით პოზიტიურად აფასებს, გამოკვეთილია გარკვეული შეუსაბამობები და ხარვეზები. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის აქცენტი სტაბილიზაციაზე, ნორმალიზაციასა და ნდობის აღდგენის მანდატებზე ძირითადად კონკრეტდება იმ საქმიანობებზე, რომლებიც შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას, როგორც მრავალარხიანი დიპლომატია. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობები და სტრატეგიები ემხრობა არაფორმალურ დიალოგს და პრობლემების გადაჭრის გზებზე შეთანხმებებს. ეს მიზნად ისახავს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ხელს უწყობს ხალხებს შორის ნდობის აღდგენას, ადამიანთა პირისპირ შეხვედრებისა და ურთიერთქმედებათა გაძლიერებას ძირეულ დონეზე. ამჟამად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის კავშირი საქართველოს უსაფრთხოების სექტორის ან მმართველობის რეფორმასთან ძალიან შეზღუდულია.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM) შეფასებულია, როგორც ყველაზე წარმატებული მექანიზმი ყველა დაინტერესებულ მხარის მიერ როგორც ქვეყნაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეს შეხვედრები შესაძლებლობას აძლევს ყველა მონაწილეს, განიხილოს მოვლენები და ინციდენტები და წამოჭრან საკითხები სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოების პრობლემებსა და მდგომარეობაზე. ამ მექანიზმში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონაწილეობა ხელს უწყობს მის მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოთამაშედ ჩამოყალიბებას კონფლიქტში სადაც მისი მთავარი მოვალეობაა, შეასრულოს შუამავლის როლი და გადაწყვიტოს სხვადასხვა მცირემასშტაბიანი და, იმავდროულად, მნიშვნელოვანი საკითხები (მათ შორის გატაცებები და თავდასხმები). ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრები განიხილება, როგორც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონიტორინგის საქმიანობაზე ინფორმაციის გავრცელების ძირითადი ფორუმი დასავლეთ საქართველოში და ზრდის ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობის დონეს.

რეკომენდაციები: კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე ადამიანთა უსაფრთხოების გაზრდა

სამოქალაქო საზოგადოებას:

- ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე საჭიროებების სიღრმისეული შეფასებების ჩატარება და ამ საკითხების ეფექტიანად გადაჭრის მიზნით რეკომენდაციების მომზადება;
- ადამიანის უფლებების მონიტორინგში უფრო აქტიური ჩართვა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისათვის ინფორმაციის მიწოდება;
- სამოქალაქო მოსახლეობის ინფორმირება უსაფრთხოების ზომებისა და კატასტროფებისთვის მზადყოფნის შესახებ;

საქართველოს მთავრობას:

- კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციისადმი მიზანმიმართული და თანმიმდევრული მიდგომების შემუშავება, დამოუკიდებელი ადგილობრივი და ევროკავშირის ექსპერტების მიერ შემუშავებული შეფასებების გათვალისწინება;
- შესაძლო რისკებისა და საფრთხეების შესახებ დაზარალებული მოსახლეობისათვის გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაციის უზრუნველყოფა, სამოქალაქო საზოგადოების და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ თანამშრომლობით შემუშავებული ადრეული გაფრთხილების სისტემებსა და საშიშროებათა შეფასებების მიწოდება;
- საპრევენციო საგანგებო სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავება და მათი გავრცელება მოსახლეობაში სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერით;

- ადამიანის უსაფრთხოების მაღალი რისკის ადგილებში სახელმწიფოს მხრიდან საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების გასაუმჯობესებლად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით დიალოგის ხელშეწყობა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში;
- საქართველოში ადამიანის უსაფრთხოების პრობლემების შესახებ საერთაშორისო დონეზე დიალოგის წარმოება, მათ შორის, შესაბამის არასამთავრობო რეგიონულ ორგანიზაციებთან;

ევროკავშირის და საერთაშორისო დონორ დაინტერესებულ მხარეებს:

- სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა საფრთხის შეფასებაში და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ანალიზში; სამოქალაქო საზოგადოებისთვის აუცილებელი ფინანსური დახმარების გაწევის გზით ადამიანზე ორიენტირებული ადრეული გამოვლენის სისტემების შექმნა და გაძლიერება;
- სამოქალაქო საზოგადოებების წახალისება ადამიანის უსაფრთხოების შესახებ საჭიროებათა შეფასებისთვის და მათი რეგულარული წარდგენა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებზე;
- სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად სამოქალაქო მოსახლეობისთვის უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება;
- ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის ადამიანის უსაფრთხოების ყველა ასპექტზე რეკომენდაციების შესამუშავებლად;
- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს დევნილთა საჭიროებებს და რეაგირება მოახდინოს მათ მოთხოვნებზე საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით. ასეთი მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ევროკავშირის პოზიტიურ იმიჯის ჩამოყალიბებას დევნილთა საზოგადოებაში;
- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ უნდა გაზარდოს მისი ცნობადობა ქართულ საზოგადოებაში მათი საქმიანობებთან დაკავშირებით არსებული ხარვეზების და საინფორმაციო ვაკუუმის აღმოსაფხვრელად;
- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ უნდა მიიღოს უფრო ხანგრძლივი მანდატი 3-5 წლიანი განახლებით, საქართველოში კონფლიქტების მოგვარების პროცესში ევროკავშირის ჩართულობის შესახებ მხარეებისთვის ძლიერი სიგნალის გასაგზავნად; ეს გრძელვადიანი ჩართულობა, იმავდროულად, ხელს შეუწყობს კონფლიქტის პრევენციის მექანიზმების გახანგრძლივებას.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები (GID), შეიძლება ითქვას, რომ ერთდერთი დიპლომატიური პლატფორმაა, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში კონფლიქტის ირგვლივ. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის მოგვარება, გარკვეულწილად, ჩიხშია შესული, პლატფორმა საშუალებას იძლევა დიპლომატებისთვის, პოლიტიკოსებისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის,

გაცვლონ ინფორმაცია და გადაჭრან კონკრეტული საკითხები. მიუხედავად ამისა, GID-მ ვერ შეძლო კონფლიქტის დიპლომატიურად გადაწყვეტის გზების მიკვლევა. სიტუაციური ანალიზის კვლევის თითქმის ყველა მონაწილის აზრით, ევროკავშირის შესაძლებლობები GID ფორმატის ფარგლებში შეზღუდულია. პლატფორმის ელიტური ხასიათი და გამჭვირვალობის ნაკლებობა ქმნის არსებით შეზღუდვებს, განსაკუთრებით კი, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პერსპექტივაში.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ქვეყნების სეპარატისტული რეგიონების „სახელმწიფოებრიობა“ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რუსეთზე სამხედრო, ფინანსური და პოლიტიკური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, დე ფაქტო ხელისუფლებას არ გააჩნია დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობები. ამასთან, დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები არ ენდობიან ევროკავშირს, როგორც მიუკერძოებელ მხარეს, რადგან ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს. შესაბამისად, დე-ფაქტო ხელისუფლება მოქმედებს მოსკოვის მიერ ‘დაწერილი სცენარის’ მიხედვით და არ სურს დათმობაზე წასვლა სტატუს-კვოს შეცვლასთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, ამ პროცესში ევროკავშირის შესაძლებლობები საკმაოდ სუსტია. ამდენად, ჟენევის მოლაპარაკებები და ევროკავშირის შუამავლობა განიხილება, როგორც საქართველოსა და რუსეთს შორის ახალი კონფლიქტის წარმოქმნის პრევენციის საშუალება. უსაფრთხოების განზომილების შესახებ ხალხის ცნობიერების გაზრდა GID-ში ევროკავშირის მიზნების განხორციელების ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს. ეს არ ეხება მხოლოდ ტანკებსა და იარაღს, საჭიროა იმის გაცნობიერება, თუ რას გულისხმობს ევროკავშირი „ადამიანის უსაფრთხოებაში“. GID ხელს უწყობს არაპოლიტიკური საკითხების გადაჭრას ორმხრივ მომგებიან თანამშრომლობაზე დაყრდნობით, რომლის მაგალითიც არსებობს აფხაზეთში მიმდინარე პრობლემებთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევებში, ევროკავშირს შეუძლია განიხილოს მსგავსი ინიციატივების დაფინანსება, როგორც GID-ის ბერკეტის გაძლიერების საშუალება. აქედან გამომდინარე, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ჟენევის მოლაპარაკებები, საბოლოო ჯამში, არ აღმოჩნდა წარმატებული კონფლიქტის მოგვარების პროცესში, თვითონ ის ფაქტი, რომ ამ მოლაპარაკებზე კონფლიქტის მხარეებს შეუძლიათ რეგულარულად შეხვდნენ და განიხილონ კონფლიქტური საკითხები - ადასტურებს იმას, რომ ის არის მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც უნდა იქნას შენარჩუნებული.

რეკომენდაციები: კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის მოლაპარაკებების, დიალოგისა და დისკუსიების სპექტრის გაფართოება

სამოქალაქო საზოგადოებას:

- კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიის შესახებ საჯარო დებატების მხარდაჭერა და მონაწილეობა;
- საზოგადოებისა და დონორი დაინტერესებული მხარეების უზრუნველყოფა არსებული მდგომარეობის ობიექტური და მიუკერძოებელი ანალიზებით;
- საქართველოს მთავრობის უზრუნველყოფა სამშვიდობო პროცესის შესახებ რეკომენდაციებით, კონფლიქტის გადაწყვეტის შესახებ საჯარო დისკუსიებში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების არა-დისკრიმინაციული ჩართულობა, პოლიტიკის ფორმირების სარეკომენდაციო დოკუმენტებისა და კონფლიქტის ანალიზის დოკუმენტების მონაწილეობითი გზით მომზადება;
- კონფლიქტის გადაწყვეტის ინოვაციური იდეების გენერირება და ომით დაზარალებულ მოსახლეობასთან მუშაობის საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკული ხედვების შეფასება;
- მშვიდობის მშენებლობის შესახებ მედიის წარმომადგენელთა ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგების ხელსეწყობა.
- „მრავალარხიანი დიპლომატიის“ შესაძლებლობების იდენტიფიცირება და თანამონაწილეობის უზრუნველყოფა;

საქართველოს მთავრობას:

- GID-ის ფარგლებში კონფლიქტის მოგვარების პროცესთან და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რაიონებში არსებული ვითარების შესახებ ობიექტური და გამჭვირვალე ინფორმაციის ნაკადის ზრდა;
- სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად შემუშავებული მკაფიო დღის წესრიგის შემუშავება მოლაპარაკებებისთვის; შემუშავებული დღის წესრიგის საზოგადოებისთვის გაზიარება;
- ოპოზიციური პარტიების მოზიდვა საქართველოს კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიებზე კონსენსუსის მიღწევის მიზნით;
- სამშვიდობო პროცესის შესანარჩუნებლად და გასამლიერებლად GID-ისა და „აბაშიძე-კარასინის ორმხრივი დიალოგის“ არხების გარდა მოლაპარაკებების სხვა ფორმატების მოძიება და წამოწყება;

ევროკავშირს და საერთაშორისო დონორ დაინტერესებულ მხარეებს:

- კონფლიქტის მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (დამოუკიდებელი ექსპერტები, ახალგაზრდები, ქალები და ა.შ.) უფრო ფართო სპექტრის ჩართვის, მათი ხელშეწყობისა და დაფინანსების გაზრდის გზით;
- კონფლიქტების კვლევისა და ანალიზის, ანალიტიკური საქმიანობის შესაძლებლობების ხელშეწყობა, კონფლიქტების მოგვარებისა და ნდობის მშენებლობის მეთოდოლოგიის განვითარება საქართველოს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებაში;
- ევროკავშირმა უფრო აქტიურად უნდა მოიწვიოს ევროკავშირის არაწევრი ქვეყნები გაერო-სა და ეუთო-ს სივრციდან საქართველოს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და,

მეორე მხრივ, რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის კონფლიქტის მოგვარების და მოლაპარაკების მიმართულებით ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, ეფექტიანი გავლენის ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით.

ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების ერთობლივი პროგრამა ნდობის აღდგენა და ადრეული რეაგირების მექანიზმი (COBERM)

ევროკავშირი-გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროგრამა - ნდობის აღდგენა და ადრეული რეაგირების მექანიზმი (COBERM) ინვესტირებას ახდენს სახალხო დიალოგსა და ნდობის აღდგენაში. ამ პროგრამას საქართველოში მოღვაწე დაინტერესებული მხარეები ზოგადად აფასებენ, როგორც სასარგებლოს და პოზიტიურს, რადგან მას შეუძლია, ხელი შეუწყოს კონფლიქტის მონაწილე მხარეებისა და ხალხთა კონტაქტების სტიმულირებას და გაზარდოს საზოგადოებაში არსებული შესაძლებლობები, ისევე როგორც მისცეს საშუალება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, კონსტრუქციული გზით დაარეგულირონ პოლიტიკური უთანხმოებები. თუმცა, საჭიროა ზომები, რათა პროგრამა უფრო მგრძნობე გახდეს ახალი სუბიექტებისადმი და გაიზარდოს პროგრამის გავლენა აქამდე ჩართული მცირე ჯგუფების მიღმა.

COBERM-ის პროგრამა პროგრამულ დონეზე, წარმოაჩენს იმ სირთულეებს, რომლებიც არსებობს საზოგადოების მონაწილეებით ევროკავშირის ძალისხმევას კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობის საქმიანობათა დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესებში. ევროკავშირის საოპერაციო დონეზე ინტერვენციასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა შეფასების შედარებით, სიტუაციური ანალიზი აყალიბებს ადგილობრივი პასუხისმგებლობის დილემებს, რომელშიც კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის ჩართულობის პასუხისმგებლობა ზიანს აყენებს სხვა მხარისადმი ნდობისა და პასუხისმგებლობების შესაძლებლობას. COBERM-ის ფარგლებში ევროკავშირის, როგორც ნეიტრალური და მიუკერძოებელი სუბიექტის იდენტიფიცირების მცდელობები, პოლიტიკური სირთულეები, ასახავს კონფლიქტში ევროკავშირის ჩართულობის დილემას მისი გავლენის საზღვრებსა და საქმიანობასთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით ვლინდება COBERM-ის მოქმედებასა და გავლენასთან დაკავშირებით ადგილობრივი და საერთაშორისო დაინტერესებული მხარეების განსხვავებულ აღქმაში.

რეკომენდაციები: პირისპირ ხალხთა შორის კონტაქტების გაზრდის ხელშეწყობა

სამოქალაქო საზოგადოებას:

- დარწმუნდით, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდაჭერით დამყარებული ხალხთაშორისი კონტაქტები საზოგადოების ფართო წრეებს მოიცავს და არ ნიშნავს მხოლოდ „ექსპერტთან“ კონტაქტებს. მაგალითად, ერთობლივად აღნიშნეთ ტრადიციული დღესასწაულები, როგორცაა ქართველებისა და ოსების ერთობლივი ხატობის დღესასწაული;
- მუშაობა კონფლიქტურ ზონებში ხალხთა საერთო ინტერესების იდენტიფიცირებისთვის, როგორცაა სპორტი, ხელოვნება, ჯანმრთელობა, გარემოს დაცვა, პროფესიული განვითარება და ა.შ. ამ სფეროებში ერთობლივი საქმიანობის პოლიტიზებისკენ მიმართული მცდელობების აღკვეთა მნიშვნელოვანია;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის რეგულარულად გაცვლის მექანიზმების შექმნა და სხვადასხვა ინიციატივის კოორდინაცია დიალოგის პროცესებისა და ხალხთაშორისი კონტაქტების ხელშეწყობის მიზნით;
- აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბება და გაძლიერება ხალხთაშორისი კონტაქტების წახალისების მიზნით ისეთი საშუალებებით, როგორცაა აკადემიური და კულტურული გაცვლითი პროგრამები ან ზაფხულის სამშვიდობო ბანაკები;

საქართველოს მთავრობას:

- უნდა გადაილახოს დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის ხალხთაშორისი კონტაქტებისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაბამისი პროექტების განხორციელებას, კანონმდებლობის განხილვას (როგორცაა მაგ. ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი), არეგულირებს მგზავრობის ნებართვების გაცემას და მცირე მასშტაბის ეკონომიკურ თანამშრომლობას, მათ შორის საქართველოში სწავლის მსურველი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდებისთვის სტიპენდიების უზრუნველყოფისა და სხვა საშუალებებს.
- ხელისუფლების წარმომადგენელთა იმ ტრენინგებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, რომლებიც შეთავაზებულია სამოქალაქო საზოგადოების მიერ სამშვიდობო საჯარო დისკურსის შესახებ;

ევროკავშირს და საერთაშორისო დონორ დაინტერესებულ მხარეებს:

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკოორდინაციო შეხვედრების ორგანიზება დონორებს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგის პროცესებისა და პირისპირ კავშირების ხელშეწყობის, პროექტების სფეროში თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესების მიზნით;
- მშვიდობის მშენებლობასა და მოლაპარაკებების სფეროში რეგიონულ ან ევროპულ საზაფხულო სკოლებსა და ახალგაზრდულ ბანაკებში, საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ქალთა და ახალგაზრდობის ერთობლივი მონაწილეობის წახალისება, მაგალითად, სტიპენდიების უზრუნველყოფით;
- უნივერსიტეტის დონეზე სამშვიდობო განათლების, მეცნიერებსა და სტუდენტებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა უკვე არსებული მექანიზმების (მაგ. როგორცაა ერაზმუსი) მეშვეობით;

- სკოლის დონეზე მშვიდობის მშენებლობასა და სამშვიდობო სწავლებაში საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და დაფინანსება;
- სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარებისა და გაძლიერების ხელშეწყობა;
- ახალი სუბიექტების მონაწილეობის დივერსიფიკაცია და იგივე სუბიექტების/ადამიანთა მონაწილეობის თავიდან აცილება.

პროექტის WOSCAP კლასტერული პერსპექტივა - გამჭოლი საკითხები

პროექტი WOSCAP მუშაობს შემდეგ ხუთ გამჭოლ თემაზე: მრავალმხრივი თანამშრომლობა, პასუხისმგებლობა ადგილობრივ დონეზე, გენდერი, სამოქალაქო და სამხედრო ურთიერთობები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT). წინამდებარე კვლევა ითვალისწინებს (1) მრავალმხრივი თანამშრომლობის ასპექტს, ხოლო (2) გენდერული ასპექტები, (3) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) და (4) ადგილობრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ზედაპირულადაა განხილული.

1. მრავალმხრივი თანამშრომლობა, შეთანხმება: საქართველოს შესახებ სიტუაციურ ანალიზში შეფასებულია ევროკავშირის მიერ პარტნიორების არჩევა, მრავალმხრივი ურთიერთობების ეფექტიანობა, მაგ.: გაერო-სთან, ეუთო-სთან და სხვა რეგიონულ ორგანიზაციასთან, ასევე მეტი შემოქმედებითი პარტნიორობის პოტენციალი მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორთან. როდესაც განიხილება ევროკავშირის სამომავლო როლი კონფლიქტის მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის საქმეში, ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების პოლიტიკურ ნებას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა. ბრიუსელის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სეპარატისტული რეგიონისა და თბილისის ადმინისტრაციის მხრიდან არსებობს შეზღუდული პოლიტიკური მზაობა მოკლევადიან პერსპექტივაში რაიმე მნიშვნელოვანი შეთანხმების მიღწევაზე. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ევროკავშირის დიპლომატები, როგორც ჩანს, გულისხმობენ, რომ მხოლოდ თბილისის ადმინისტრაციასა და აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ლიდერებს შესწევთ კონფლიქტის დარეგულირების უნარი.

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა საქართველოდან ევროკავშირის ინტერვენციებს ძირითადად აფასებს, როგორც ინერციით მიმდინარეს. თუმცა, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმაზე, თუ რომელი ახალი მეთოდი შეიძლება იყოს ყველაზე ნაყოფიერი. სამოქალაქო საზოგადოების პერსპექტივიდან გამომდინარე, საჭიროა ინტერვენციის სტრატეგიების განახლება, რათა მოიცვას

უფრო მეტი საგანმანათლებლო განზომილება. ალტერნატივების ჩამონათვალი საკმაოდ გრძელია. სხვადასხვა ვარიანტი დამოკიდებულია სეპარატისტული რეგიონების მხრიდან ასეთთა განხილვის მზაობაზე. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას (EU-Georgia AA/DCFTA) შეუძლია მოახდინოს სეპარატისტული რეგიონების მოტივირება, რომ ჩაერთონ გარკვეულ განახლებულ ღონისძიებებში. მრავალმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივიდან გამომდინარე, ევროკავშირისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები პერიოდულად ერთვებოდნენ კონფლიქტურ ზონებთან მიმართებით ევროკავშირის პოლიტიკასთან დაკავშირებულ სტრატეგიულ დიალოგში. ამგვარი ჩართულობა მოიცავდა განსხვავებული პოზიციების შეჯერებას GID-ის რაუნდების მომზადებისას.

რეკომენდაციები: თანაბარი და დაბალანსებული მონაწილეობის გაძლიერება მრავალმხრივი თანხვედრისა და თანამშრომლობისათვის

სამოქალაქო საზოგადოებას:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების დარღვევების (მათ შორის, დროებითი საცხოვრებელი ადგილზე საკუთრების უფლებები) შესახებ კვლევების განახლება და ამ დარღვევების გამოსასწორებელი ზომებისა და ღონისძიებების მონიტორინგი / შეთავაზება;
- ისეთი არსებული პროგრამების გაფართოება, რომლებიც ითვალისწინებს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მათი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, იგულისხმებს დასახლებების დიდი ნაწილის დასაფარავად;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებსა და კოლექტიურ ცენტრებში ახალგაზრდების პოტენციალის ფორმირება თვითორგანიზებისთვის, რათა დაიცვან თავიანთი უფლებები და მიაწვდინონ საკუთარი ხმა საზოგადოებას. გარდა ამისა, იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობის წახალისება ყველა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების პროექტში;

საქართველოს მთავრობას:

- კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისთვის უკეთესი დაცვისა და დახმარების გაწევის მიზნით კონფლიქტების დარეგულირების, დიალოგსა და სამშვიდობო ინიციატივებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან რეგულარული საკოორდინაციო მექანიზმების შექმნა;
- კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან სახელმწიფოს მხრიდან იდენტიფიცირებულ პოლიტიკის მიდგომებსა და ქმედებებთან დაკავშირებით;
- ხელისუფლებისა და სამოქ.საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნას სამშვიდობო საბჭო კონფლიქტის მოწესრიგებისა და მშვიდობისმშენებლობის მიმართულებით, რათა შემუშავდეს ეროვნული

მოქმედებათა გეგმა ეკონომიკური კავშირების ზეგავლენისათვის ნდობის აღდგენის მექანიზმებზე.

ევროკავშირისა და საერთაშორისო დონორ დაინტერესებულ მხარეებს:

- ქსელური მუშაობის სტიმულირებისა და გაუმჯობესების მიზნით განხორციელდეს სამოქალაქო საზოგადოების საკოორდინაციო შეხვედრების ორგანიზება დონორ დაინტერესებულ მხარეებს, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სააგენტოებსა და ქართული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით;
- ეუთო-ს მონაწილე ქვეყნებთან, რომლებიც მუშაობენ კონფლიქტის მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გაიმართოს კონსულტაციები, რათა ყურადღება გამახვილდეს საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებსა და სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური კავშირების გაუმჯობესების ხელშეწყობის დახმარების ახალ პროგრამებში;
- გაერო-სა და ეუთო-ს სივრცის სახელმწიფოების მოწვევა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით დამატებითი ახალი პროგრამების განხორციელებისთვის;
- სპეციალური საგრანტო პროგრამების უზრუნველყოფა, რათა სამოქალაქო საზოგადოებამ კონფლიქტურ და ადმინისტრაციულ საზღვრებს მიმდებარე ზონებთან დაკავშირებით შექმნან ეკონომიკური ურთიერთქმედების სახელმძღვანელო სათემო ორგანიზაციებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის.

2. პასუხისმგებლობა ადგილობრივ დონეზე: ევროკავშირის ინტერვენციების ჩართულობის დონე განსხვავდება, მაგრამ ის განსაკუთრებით შეზღუდულია ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების შემთხვევაში. ეს მექანიზმები შეფასდა, როგორც ძალიან ელიტარული და დახურული. ადგილობრივი პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, აუცილებელია, როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური კოორდინაციის მექანიზმების უფრო ეფექტიანი გამოყენება. საქართველოს შესახებ სიტუაციურ ანალიზში ხაზგასმითაა აღნიშნული ევროკავშირის ინტერვენციებში არასახელმწიფო სუბიექტების ჩართულობის აუცილებლობა. ერთ-ერთი ასპექტი გულისმობს ევროკავშირის მიერ თავისი ჩარევებისა და ოპერაციების ფარგლებში უკეთესი ადგილობრივი ჩართულობის სტრატეგიების შემუშავებას.

რეკომენდაციები: კანონმდებლობის, სტრატეგიებისა და პოლიტიკის დარეგულირება პასუხისმგებლობის გაფართოებისთვის

სამოქალაქო საზოგადოებას:

- კონკრეტულ საკითხზე დაფუძნებული სპეციალური (ad hoc) კოალიციების შექმნა, რომელიც შეძლებს კანონმდებლობის ადეკვატურობის შეფასებას დამოუკიდებელი საექსპერტო რჩევების საფუძველზე;
- იმ საქმიანობების გაძლიერება, რომლებიც ითვლისწინებს კანონმდებლობის შემუშავებისა და განხორციელების მონიტორინგს და უზრუნველყოფს იურიდიული და იმპლემენტაციის ხარვეზების ანალიზს ინკლუზიური მონაწილეობის შესახებ;

- პოლიტიკის ანალიზისა და დამოუკიდებელი გამოცდილების შესაძლებლობების ხელშეწყობა ქალების, ახალგაზრდა აქტივისტების, სტუდენტების (კერძოდ, რომლებიც სწავლობენ შესაბამის დისციპლინებს) ჩართულობით, მაგ. სტაჟირებისა და მოხალისეობის შეთავაზებებით;

საქართველოს მთავრობას:

- სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ფარგლების გაფართოება შიდასახელმწიფოებრივ სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც აფასებენ საკანონმდებლო ცვლილებებისა და პოლიტიკის სტრატეგიების ეფექტიანობას ყველა სფეროში, რომელიც გავლენას ახდენს მშვიდობის მშენებლობის პროცესებზე;
- სამოქალაქო საზოგადოების წევრების შერჩევისა და როტაციის შეცვლისთვის გამჭვირვალე, ინკლუზიური და არადისკრიმინაციული კრიტერიუმების ჩამოყალიბება სამუშაო ჯგუფებში;
- საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სამშვიდობო პროცესების (სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები და პროექტები) მნიშვნელოვან დოკუმენტებზე, რის შედეგადაც სახელმწიფო დოკუმენტები გახდება ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი ოფიციალურ ვებ-გვერდებზე;
- კანონმდებლობის მიმდინარე განხორციელებასთან დაკავშირებით საზოგადოებისთან ინტეგრირებული ანგარიშების უზრუნველყოფა;

ევროკავშირს და საერთაშორისო დონორ დაინტერესებულ მხარეებს:

- კონფლიქტის მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობაში საქართველოს მთავრობისადმი ფინანსური მხარდაჭერა ამ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების შესაბამისი წარმომადგენლების ჩართულობის წინაპირობით;
- შესაბამისი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის პოლიტიკურ და სამართლებრივ ანალიზზე კვლევითი გრანტების რიცხოვნების გაზრდა;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ალტერნატიული ანგარიშების მომზადების ხელშეწყობა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მათი რეკომენდაციების მიხედვით მოქმედებაში.

3. გენდერი: კონკრეტული კვლევა ეხება გენდერული მგრძობიარე და კეთილი გარემოს გაუმჯობესების საკითხის აქტუალობას და ხაზს უსვამს ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების შესახებ გაერო-ს უშიშროების საბჭოს 2122 (2013) რეზოლუციის მნიშვნელობას.

ქალთა და გოგონათა შესაძლებლობების გაზრდას და გენდერულ თანასწორობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების თვალსაზრისით. გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1325 (2000) რეზოლუციის სრულად განხორციელების ხელშემშლელი მუდმივი ბარიერების გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ქალთა შესაძლებლობების გაძლიერების, ჩართულობის და ადამიანის უფლებებზე ორიენტაციით, ასევე ერთობლივი ხელმძღვანელობის, მუდმივი ინფორმაციისა და ქმედების და მხარდაჭერის მეშვეობით, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა დონეზე ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფით (გაერთიანებული ერები 2013).

ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM) და ნდობის აღდგენის და ადრეული რეაგირების მექანიზმი (COBERM) შესაბამისობაშია გენდერულ პოლიტიკასთან, თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის ფორმატი მამაკაცებით დომინირებულია და ნაკლებ ყურადღებას უთმობს გენდერულ ასპექტებს.

რეკომენდაციები: ქალების და ახალგაზრდების ჩართულობა მშვიდობის მშენებლობაში

სამოქალაქო საზოგადოებას:

- სამოქალაქო განათლებაში კვლევისა და პროექტის განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSOs) ფარგლებში;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში ქალების და ახალგაზრდობის მოხალისეებად ჩართვა და სამოქალაქო საზოგადოების სექტორში ანაზღაურებადი სამუშაოს პერსპექტივის მიცემა;
- საჭიროებების დადგენა და სამოქალაქო და ადამიანის უფლებებთა განათლების ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივ სკოლებთან სასწავლო და კლასგარეშე აქტივობებთან დაკავშირებით თანამშრომლობა. აღნიშნული უნდა მოიცავდეს ისეთ თემებზე აქტივობებს, როგორცაა კონფლიქტების ტრანსფორმაცია, მშვიდობის მშენებლობა, ტოლერანტობა და ა.შ. ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების გამოყენებით, რომლებიც მომზადებულნი იქნებიან დონორთა დაფინანსებული პროექტების მეშვეობით სამშვიდობო განათლების სფეროში ტრენინგის მეშვეობით;
- კონფლიქტების ყველა მხარეს ქალთა და ახალგაზრდობის საჭიროებების შესწავლა, საერთო ინტერესების დადგენა და აღნიშნული ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით პროექტების შემუშავება;

საქართველოს მთავრობას:

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან სასკოლო პროგრამების გადახედვა იმ მიზნით, რომ სამოქალაქო და ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება სავალდებულო საგანი გახდეს 15+ ასაკის მოსწავლეებისთვის;
- ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურს ცენტრების მეშვეობით, სკოლის დირექტორებს, მასწავლებლებსა და ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებას შორის ერთობლივ პროექტებსა და კლასგარეშე აქტივობებში თანამშრომლობის ხელშეწყობა (მაგ: აქტივობები, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა დღეს, მსოფლიო მშვიდობის დღეს, საზაფხულო ბანაკებს, სოციალური აქტივობები და სხვა);
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართვა სამოქალაქო და ადამიანთა უფლებების განათლებასთან დაკავშირებული სასწავლო სტანდარტების და მასწავლებელთა აკრედიტირებული სასწავლო პროგრამების შემუშავებაში;
- განათლების სფეროში კულტურათაშორისი, ტოლერანტობის ხელშეწყობა, მაგალითად, ლიტერატურის გაკვეთილებზე ისეთი ეთნიკური ჯგუფების ლიტერატურული ნამუშევრების შეტანა, რომელთა წევრებიც ცხოვრობენ საქართველოში;

ევროკავშირს და საერთაშორისო დონორ დაინტერესებულ მხარეებს:

- ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამოქალაქო საზოგადოებასა და პედაგოგიურ დაწესებულებებს და სამოქალაქო განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში აქტიურად ჩართულ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის გაცვლითი აქტივობების ხელშეწყობა და დაფინანსება;
- პროგრამების დაკავშირება საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმის ხელშეწყობის და დაფინანსების მიზნით, სასკოლო და მასწავლებელთა გადამზადების პროგრამებს შემუშავების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობით;
- სამხრეთ კავკასიის კონფლიქტურ ხაზებსა და რეგიონებში საზაფხულო (სამშვიდობო) ბანაკების, საზაფხულო სკოლების და ახალგაზრდებს შორის გაცვლითი პროგრამების დაფინანსება.

4. ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები (ICT): მნიშვნელოვანია სხვადასხვა სტრუქტურების მიერ მშვიდობის მშენებლობის კონკრეტულ კონტექსტში ფორმალური და არაფორმალური ინფორმაციულ-კომუნიკაციური პრაქტიკის გამოყენება. რეგიონებში უფრო პროაქტიური ICT სტრატეგიის გამოყენება ხელს შეუწყობდა აქტივობების ეფექტიან განხორციელებას, თუმცა ICT-თან დაკავშირებით ინტერვენციების განხორციელება წარმოადგენს სუსტი სტრატეგიული ხედვის კარგ მაგალითს. ადგილობრივი დაზვერვისა და ხელისუფლების სხვა სამსახურების მიერ დაკვირვება ხორციელდება აფხაზეთის და სამხრეთი ოსეთის მცხოვრებ მოსახლეობაზე, რაც ხელს უშლის ონლაინ აქტივობებში თავისუფალ ჩართულობას. შესაბამისად, მშვიდობის მშენებლობის საქმეში ICT-ის შესახებ დისკუსიები გახდა სადავო თემა. ამის მიუხედავად, არსებობს გარკვეული პოტენციური რესურსები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია, მაგალითად როგორცაა ელექტრონული სწავლების ფორმატები.

რეკომენდაციები: უფრო მეტი ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება მშვიდობის მშენებლობის პროცესში

სამოქალაქო საზოგადოებას:

- კონტაქტების დამყარება და გაძლიერება პროექტებში ინტერნეტ კავშირის ისეთი მეთოდოლოგიების გამოყენებაზე პრიორიტეტის განსაზღვრით, როგორცაა ვიდეო კონფერენცია და ერთობლივი (ტრანს-სასაზღვრო ხაზი) ვებ-გვერდები;
- ჰარმონიული თანაარსებობისა და მეგობრობის პოზიტიური მაგალითების გამოვლენა, როგორცაა შერეული (აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული) ოჯახები, "ფეისბუქ" მეგობრობა და ა.შ., მათი გამოჩენა საზოგადოებაში დანაწევრებაზე ორიენტირებული რიტორიკის საწინააღმდეგოდ.

საქართველოს მთავრობას:

- ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა (GID) და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) საქმიანობის ვებ-ფორუმებში განხილვისა და შეფასების

მხარდაჭერა და, სადაც შესაძლებელია, ონლაინ უკუკავშირის უზრუნველყოფა თანამშრომლობით;

- ომით დაზარალებული მოსახლეობის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობის ხელშეწყობა და მათი გაძლიერება, რათა მათ განიხილონ სახელმწიფო პროგრამები და აქტივობები, დაგეგმილი ICT-ით მეშვეობით;

ევროკავშირს და საერთაშორისო დონორ დაინტერესებულ მხარეებს:

- კონფლიქტოგენური ინფორმაციის გაშუქების პრაქტიკაში ჩართული ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის შესაძლებლობების გაძლიერებისა და გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა და დაფინანსება;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობის გაზრდის მიზნით, მათთვის დახმარების გაწევა, კერძოდ, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების აქტიური გამოყენებით მთავრობასთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, ეფექტიანი დიალოგის წარმოება (მაგ.: სამოქმედო გეგმების განხორციელების ანალიზი, დიალოგის წარმოებისთვის საჭირო შესაბამისი დღის წესრიგის უზრუნველყოფა და ა.შ.).

ტერმინოლოგიის შესახებ

სამოქალაქო საზოგადოების როლი და ჩართულობა მშვიდობის მშენებლობის პროცესებში - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, დღესდღეობით, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ცნებაა მშვიდობის მშენებლობის პროცესში. ძლიერი და აქტიური სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს წარმომადგენლობითი დემოკრატიის მნიშვნელოვან ელემენტს და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტს. საერთაშორისო დებატების დროს კითხვა ისმის არა იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლს ასრულებს სამოქალაქო საზოგადოება მშვიდობის მშენებლობის პროცესში, არამედ, თუ როგორ უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მისი ღირებული წვლილის მაქსიმალურად შეტანა ამ პროცესში. დღემდე, მშვიდობის მშენებლობის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის შედეგების და ზეგავლენის შეფასება განხორციელებულია მხოლოდ განსაზღვრულ, შეზღუდულ ფარგლებში¹. აღნიშნულ სფეროში სამოქალაქო საზოგადოების როლთან დაკავშირებით კვლავაც არსებობს ემპირიული, ფაქტობრივი მტკიცებულებების ნაკლებობა, რომელიც აუცილებელია მისი მნიშვნელობის და ეფექტიანობის² შესახებ ქმედითი დასკვნების უზრუნველსაყოფად.

სამოქალაქო საზოგადოების განმარტება – არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოების ერთი, საერთოდ მიღებული განმარტება გარდა იმ ძირითადი იდეისა, რომლის მიხედვითაც საერთო საზოგადოება წარმოადგენს "საერთო ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების გარშემო ნებაყოფლობითი, ერთობლივი ქმედებების ადგილს"³. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოება არის საზოგადოებრივი ტერიტორია სახელმწიფოს, ბიზნესს და ოჯახს შორის და ძირითადად შედგება სხვადასხვა მოხალისე ორგანიზაციებისგან და ასოციაციებისგან, რომლებიც ატარებენ განსხვავებულ მიზნებს, ინტერესებსა და იდეოლოგიას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფარგლებში არსებობს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურები, რომელთა ფორმალიზაციის ხარისხი, ავტონომია და გავლენა ცვალებადია. აღნიშნული, შესაძლოა, მოიცავდეს პროფკავშირებს და რელიგიურ ორგანიზაციებს, ქალთა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებს, სამეზობლო კომიტეტებს, პროფესიულ ასოციაციებს, სხვადასხვა სოციალურ მოძრაობებს, დიასპორებს, კვლევით და სამეცნიერო ორგანიზაციებს, დამოუკიდებელ მედიას და ა.შ.⁴ წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, გამოყენებულია ტ. პაფელჰოლცის (Th. Paffenholz) განმარტება, რომელიც იყენებს

¹ ქართული სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა მშვიდობის მშენებლობის პროცესში, ICCN, 2010

² მშვიდობის დამყარების გზაზე პროგრესის შეფასება: კონფლიქტების პრევენციის და მშვიდობის მშენებლობის აქტივობების დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება. GPPAC-ის კვლევითი ანგარიში No. 5, 2008: და ტანია პაფელჰოლცი (Ed): სამოქალაქო საზოგადოება და მშვიდობის მშენებლობა. 2010

³ ლონდონის ეკონომიკის სკოლის (LSE) სამოქალაქო საზოგადოების ცენტრი:

http://www.lse.ac.uk/collections/CCS/what_is_civil_society.htm

⁴ Paul Van Tongeren, Malin Brenk, Marte Hellema, Juliette Verhoeven (Eds): People Building Peace II. 2005

ტერმინს “სამოქალაქო საზოგადოება” იმ შემთხვევაში, როდესაც მიუთითებს ზოგად ცნებაზე ან არასამთავრობო ორგანიზაციების, ასოციაციების და მოძრაობების ქმედებებზე.

თუმცა სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობა სამოქალაქო საზოგადოების ერთერთი განმსაზღვრელი თვისებაა, სამოქალაქო საზოგადოება მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფოსთან და ფორმირებულია სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პარამეტრების და კონცეფციების საფუძველზე. ძლიერი და აქტიური სამოქალაქო საზოგადოებისთვის საჭიროა მშვიდობიანი და დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც არ ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოების სივრცეს და თავისუფლებას სათანადო მიზეზის გარეშე⁵.

სამოქალაქო საზოგადოების ლეგიტიმურობა⁶ – მშვიდობის მშენებლობის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობა უდავოა. სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია მოსახლეობის საერთო საჭიროებები და ინტერესები გადასცეს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს და პირიქით, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების სხვადასხვა დონეებს შორის კავშირს. უმრავლეს შემთხვევაში, სამშვიდობო პროცესებთან დაკავშირებით არსებობს კონფლიქტის მხარის ფარგლებში ვერტიკალური კავშირების ნაკლებობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანი საკითხია, თუ ვის წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და უჭერენ თუ არა მათ მხარს ადამიანთა ის დიდი ჯგუფი, რომელმაც უფლებამოსილება მისცა აღნიშნულ ორგანიზაციებს ემოქმედათ მათი სახელით, ან აყენებენ თუ არა მოთხოვნებს ასეთი მხარდაჭერის გარეშე. ასევე, მნიშვნელოვანი საკითხია, სამოქალაქო საზოგადოება ითვალისწინებს მხოლოდ იმ ჯგუფების მოსაზრებებს, რომლებიც მხარს უჭერენ სამოქალაქო ღირებულებებს, თუ, ასევე, იმ ჯგუფების მოსაზრებებს, რომლებიც წარმოადგენენ ურთიერთქმედების ანგარებიან ძალადობრივ ან ფანატიკურ ფორმებს. კონფლიქტების წარმატებულად ტრანსფორმაციის მაგალითებმა აჩვენა, რომ პრობლემის რაციონალური გადაწყვეტა ასევე უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების ყველაზე მარგინალური ჯგუფის/პირის მოთხოვნებს, ინტერესებსა და უფლებებს. იმ შემთხვევაშიც, თუ სამოქალაქო საზოგადოება არ არის ერთმნიშვნელოვნად პროგრესული და არაძალადობრივი, არასახელმწიფო სტრუქტურებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ კონფლიქტების ტრანსფორმაციაში, მშვიდობის მშენებლობასა და დემოკრატიის განვითარებაში. იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი ქმედებები ხელს უწყობდეს და საფრთხეს არ უქმნიდეს მშვიდობის მშენებლობის პროცესს, სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურებმა მათი ჩართულობის დროს უნდა დაიცვან გარკვეული პრინციპები, როგორცაა ინკლუზიურობა, არადისკრიმინაცია და მონაწილეობითი მიდგომები.

⁵ ქართული სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა მშვიდობის მშენებლობაში, ICCN, 2010

მშვიდობის მშენებლობის განმარტება⁶ – მშვიდობის მშენებლობის, როგორც მეთოდის, კონცეფციის ან მიდგომის ზოგადად მიღებული განმარტება ჯერაც არ არსებობს. ტერმინი გამოიყენება პრევენციული დიპლომატიის, პრევენციული განვითარების, კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტის გადაწყვეტის და კონფლიქტის შემდგომი რეკონსტრუქციის აღსანიშნავად. მისი მოქმედების სფერო მოკლევადიან საგანგებო სიტუაციებში დახმარების გაწევას, გრძელვადიან რეკონსტრუქციას, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებას და რეინტეგრაციას, განიარაღებას, ყოფილი კომბატანტის და სხვა შეიარაღებული ჯგუფის დემობილიზაციას და რეინტეგრაციას, ადამიანის უფლებების და, ასევე, არჩევნების ქცევის აღიარებას, ადმინისტრაციული, სამთავრობო და სასამართლო სტრუქტურების შექმნას (სამართლის უზენაესობის პრინციპის დაცვით) და სხვა ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს სტაბილურობას და შერიგებას.

საზოგადოების თანამონაწილეობა⁷ – არის მშვიდობის მშენებლობასთან და კონფლიქტების პრევენციასთან დაკავშირებული მიდგომა, რომლითაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადგილობრივი საზოგადოებების როლს, პოლიტიკურ დონეზე და საფუძველზე ურთიერთობებს, რიგი დაინტერესებული მხარეებით. ხაზს უსვამს კონფლიქტების პრევენციის და მშვიდობის მშენებლობის ინიციატივების ანალიზის პროცესში სხვადასხვა სოციალური სტრუქტურების ჩართულობას და მათ ურთიერთობებს, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე.

კლასტერები⁸ – მიუთითებს სამოქალაქო შესაძლებლობების კატეგორიებზე, რომლებიც დაკავშირებულია ევროკავშირის ინტერვენციის სხვადასხვა ფორმებთან. კლასტერები წარმოადგენს იმას "რასაც" ევროკავშირი აკეთებს საგარეო ქმედებებში და რასაც WOSCAP აფასებს.

1. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა - უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მიზანია პარტნიორ ქვეყნებში სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობების გაუმჯობესება. უსაფრთხოების სექტორის რეფორმასთან დაკავშირებით, ევროკავშირი იყენებს OECD-ის განმარტებას, რომლის მიზანია "პარტნიორი ქვეყნების საზოგადოებების უსაფრთხოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შესაძლებლობების გაზრდა დემოკრატიული ნორმების და მმართველობის, გამჭვირვალობის და სამართლის უზენაესობის პრინციპების შესაბამისად. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა ითვალისწინებს, მათ შორის და არა მხოლოდ, უფრო ტრადიციული უსაფრთხოების უზრუნველყოფას თავდაცვაზე, დაზვერვასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე" (OECD, 2004).

გაერთიანებული ერები უსაფრთხოების სექტორის რეფორმას განსაზღვრავს, როგორც უსაფრთხოების სექტორის შეფასების, გაანალიზების და განხორციელების, ასევე მონიტორინგის და შეფასების პროცესს, რომელიც მიმდინარეობს ადგილობრივი ეროვნული ორგანოების ხელმძღვანელობით, და

⁶ ibidem

⁷ WOSCAP (კონფლიქტის ადრეული გამოვლენა და მშვიდობის მშენებლობა საზოგადოების თანამონაწილეობით) პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის პროგრამის "ჰორიზონი 2020" ფარგლებში

⁸ ibidem

რომლის მიზანია ეფექტიანი და ანგარიშვალდებული უსაფრთხოების გაძლიერება სახელმწიფოსთვის და მისი ხალხისთვის, დისკრიმინაციის გარეშე და ადამიანთა უფლებების და სამართლის უზენაესობის პრინციპების სრული დაცვით”.

2. მრავალარხიანი დიპლომატია - არის ურთიერთდაკავშირებული ქმედებების, პირების და ინსტიტუციების ერთობლიობა, რომელთა საერთო მიზანია კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება, უპირველეს ყოვლისა (პირდაპირ ან შუამავლობით) დიალოგის და მოლაპარაკებების გზით. ტერმინი "მრავალარხიანი" ერთდროულად მიუთითებს ინტერვენციებზე, რომელიც მიმართულია საზოგადოების სხვადასხვა დონეებზე და გადაწყვეტილების მიღებაზე, ურთიერთდაკავშირებული (კოორდინირებული) ფორმით. სხვადასხვა არხის ინტერვენციები მოიცავს: არხი I: ოფიციალური დისკუსიები მაღალი დონის სამთავრობო და სამხედრო პირებს შორის, სადაც ყურადღება გამახვილებულია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე, სამშვიდობო მოლაპარაკებებზე. არხი II: არაოფიციალური დიალოგი და პრობლემის გადაწყვეტის ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს შორის ურთიერთობების დამყარებას. არხი III: ადგილობრივ დონეზე ხალხთან პირდაპირი დიალოგი საზოგადოებებს შორის ურთიერთობის ხელშესაწყობად შეხვედრების, მედია გაშუქების, მარგინალიზირებული პირების და ჯგუფების პოლიტიკური და სამართლებრივი მხარდაჭერის გზით (Diamond and McDonald 1993; Lederach 1998).

3. მმართველობა - მმართველობა წარმოადგენს სახელმწიფო და არასახელმწიფო სოციალური, პოლიტიკური და კერძო ინსტიტუციების ერთობლიობას, რომელთა საერთო მიზანია საზოგადოების და სახელმწიფოს ფორმირება მართვა ან/და კონტროლი. მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრების თანახმად, მმართველობა არის ქმედება, არ არსებობს არანაირი ქმედება კონკრეტული მოქმედი პირის გარეშე. მმართველობა წყვეტს ძალაუფლების განაწილების საკითხებს, ასევე პროცესში კონკრეტული პირების ჩართულობასთან ან გამორიცხვასთან დაკავშირებულ საკითხებს და იმ ფორმას, რომლითაც აღსრულებული უნდა იქნას შეთანხმებული წესები.

გამჭოლი საკითხები/თემები - არსებობს თემატური პოლიტიკის სფეროები, რომელიც განსაზღვრავს და აღწერს ინტერვენციის და საგარეო პოლიტიკის მიზნებთან დაკავშირებით ევროკავშირის მიდგომას, რომელიც გამოყენებულია ან შესაძლოა გამოყენებული იქნას ევროკავშირის ქმედებების სხვადასხვა კატეგორიებში და რომელიც ეფუძნება რიგ ნორმებს/ღირებულებებს. გამჭოლი საკითხები გულისხმობს თუ "როგორ" უნდა გაანაწილოს ევროკავშირმა შესაძლებლობები, და წარმოადგენს WOSCAP-ის შესაძლებლობების ხარისხის შეფასების შემყვან პუნქტებს/ვექტორს (ადგილობრივი პასუხისმგებლობა, თანმიმდევრულობა, გენდერი ICTs).

ადგილობრივი პასუხისმგებლობა - არის ნორმატიული ცნება, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან რეფორმების და რეკონსტრუქციის პროცესების კონტროლს გარე ინტერვენციის ჭრილში. ადგილობრივი პასუხისმგებლობა განიხილება, როგორც ნებისმიერი ინტერვენციის ლეგიტიმურობის და ეფექტიანობის წინაპირობა და გულისხმობს ძალაუფლების თავიდან გადანაწილებას მშვიდობის მშენებლობის პროცესის ფარგლებში. აღნიშნული ითვალისწინებს პოლიტიკური დონის ინიციატივების და პერსპექტივების დაახლოების მცდელობას კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოებების მოსახლეობებს შორის უსაფრთხოების საბოლოო მომხმარებლების მოლოდინებთან და მოსაზრებებთან.



This project has received funding from the European Union's Horizon 2020 research and innovation programme under grant agreement No 653866

This document only reflects the view of the author(s), and the EU is not responsible for how the information may be used.

Partners:

